# ცნობის ფურცელი

№ 2307 ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2307

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 13. ტელეფონი № 761

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

✦ საზოგადოების თხოვნით ხელმეორედ ✦

## პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქმ. აკაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ მოკლე ხანში იქმნება გედევანოვის „ბენეფისი“. რეჟისორი **აკაკი**

---

### ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

29 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

## ურიის ქალი

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მელნიკოვა, კარტავინა; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, შმაკოვი, სანგურსკი და გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 30 ოქტ.—„ფრა-დიავოლო“, ობერისა, 31 ოქტ.—„ფაუსტი“, გუნოსი, 1 ნოემბერს—„ფრანჩესკო და რიმინი.“ (ნ).

## „ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

**ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.**

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) ტელეფონი № 274.

---

გამოცდილი

## მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—4)

---

ექიმი

## ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

---

კბილის ექიმი

## ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

---

## სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

## საზღვარ-გარედ

### რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს ამბავი მოსვლია ვაშინგტონიდან, იქაურ დიპლომატთა წრეებში მოელიან, რომ ამ მოკლე ხანში რუსეთი და იაპონია მორიგდებიანო. ჰფიქრობენ, ესორი სახელმწიფო ამნაირად მორიგდებაო: რუსეთი მანჯურიას როგორც უნდა, ისე მოექცევა, იაპონია—კიდევ კორეიას. გაზეთი ამბობს: ინგლისი ამნაირ მორიგებას წინააღმდეგობას არ გაუწევსო.

### ქალ. მუკდენში რუსის ჯარის ჩაყენება

მუკდენში რუსეთს ადრევაც ეყენა ჯარი, მაგრამ მერე პირობის ძალით გაიყვანა; ეხლახან კი ისევ ჩააყენა. გერმანულ გაზეთებს ამ საქმეზე შემდეგი დეპეშა მოსვლიათ:

„პეკინი, 1 ნოემბერი (ახალის სტილით), რუსის ჯარმა ხელ-მეორედ დაიჭირა მუკდენი. ჩინეთის მთავრობა ძლიერ დააფიქრა ამ ამბავმა. საქმე ასე ყოფილა: ხუთშაბათს ერთის კვირის წინად 15 ათასი რუსის ჯარის კაცი მუკდენში შემოვიდა, ყველა საქალაქო და სახელმწიფო დაწესებულება დაიჭირა, ჩინელი მოხელეები გარეკა და ქალაქის კარები დაჰკეტა. თითონ მუკდენსა და იმის გარშემო 10-დან 20 ათასამდე ჩინელი ჯარის-კაცი დგას, მაგრამ ჩინელ ჯარის უფროსებს სასტიკი ბრძანება მოუვიდათ, რუსეთის ჯარს ნურაფერს წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ და შეტაკებას ყოველნაირად ერიდენითო.

მუკდენში ჯარი ამ საბუთით ჩააყენეს: რუსებმა ერთის პოლიციის რაზმის უფროსად მანჯურიაში ვინმე ცნობილი ყაჩაღი დანიშნეს. ჩინელებმა მოითხოვეს, ეგ პოლიციელი დაგვანებეთ, ჩვენ მოგვეცითო. რუსებმაც აასრულეს ეს თხოვნა. ერთმა ჩინელმა ოფიცერმა ამ კაცს თავი მოჰკვეთა. მაშინ რუსებმაც მოითხოვეს, ეგ ოფიცერი ხუთის დღის განმავლობაში სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თუ არა და მუკდენს დავიჭერთო. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ სთხოვა რუსეთის ელჩს, სიკვდილით დასჯის მაგიერ, მაგ ოფიცერს დავკარგავთ სადმეო; მაგრამ ამასობაში ამბავი მოვიდა, მუკდენში რუსის ჯარი ჩადგაო. ამბობენ, ჩინელებმა არ იცოდნენ, რომ ასეთი მოკლე ვადა ჰქონდათ მიცემული.

ჩინეთის მთავრობა ამ საქმეზე თავის მეგობარ სახელმწიფოების ელჩებს მოელაპარაკა“.

ამავე საქმის თაობაზე „რეიტერის სააგენტო“-ს სწერენ პეკინიდან: „ქვრივმა დედოფალმა მეფის მოადგილეს იუანშიკაის მიანდო, მუკდენში წადი, იქაური საქმის გარემოება გამოიკვლიე და, თუ შეიძლება, საქმე მოაწყეო. იუანშიკაი არ კისრულობს ამ საქმეს, რადგან დარწმუნებულია, სულ ერთია, არა გამოვა რაო“.

### საფრანგეთის პირველი მინისტრი კომბი

ამას წინად, როცა პარიზის შრომის ბირჟის თაობაზე პალატაში კამათი გაიმართა, ზოგიერთმა სოციალისტმა და რადიკალ-სოციალისტმა კენჭის ყრის დროს კომბს მხარი არ დაუჭირა. მაშინვე ხმა გავარდა, რომ კომბს ისე ეწყინა თავის მომხრეების გადადგომა, რომ სამსახურიდან გასვლა გადასწყვეტაო. „ფიგარო“ სწერს: „კომბმა პირდაპირ გამოუცხადა ერთ თავის მეგობარს, რა წამს ბიუჯეტზე კამათი დასრულდება, მაშინვე სამსახურიდან გადავდგებიო, ესე იგი ახალ წლამდი გავალო. „მატენ“-ი და „ტანი“-ც ჰმოწმობენ „ფიგარო“-ს ცნობას, მაგრამ თან უმატებენ: იქნება კომბმა ეხლა გუნება შეიცვალოს და თავის განზრახვაზე ხელი აიღოსო. მარცხენა პარტიის გაზეთები დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ ამ ცნობებს, მაგრამ არც თუ გადაჭრით უარს-ჰყოფენ. „პტი რეპუბლიკ“-ს შეუტყვია შინაგან საქმეთა სამინისტროში არც-კი გაუგიათ, თუ კომბს სამსახურიდან გასვლა სწადიანო. „რადიკალ“-ი სწერს: იქნება, კომბს ძლიერაც არ მოეწონა ზოგიერთ თავის მომხრეების ქცევა უკანასკნელ კენჭის ყრის დროს, მაგრამ არც თუ ისე ეწყინა, რომ სამსახურს თავი გაანებოს და თავისი პროგრამა შეუსრულებელი დასტოვოს, მით უმეტეს, რომ ამ პროგრამას რესპუბლიკელთა უმეტესობა დღესაც მხარს აძლევს.

ამავე საქმის თაობაზე რუსულ გაზ. „ნოვოსტი“-ს პარიზიდან ატყობინებენ: „ჟორესი ყველგან აცხადებს, რაც-კი შეიძლება, კომბის სამინისტროს მხარი უნდა დაუჭიროთო; სოციალისტების მეთაურმა დიდი აგიტაცია გამართა კომბის სასარგებლოდ“.

### შრომის კერძო ბიუროები პარიზში

პარიზელი მუშები დღესაც მედგრად თხოულობენ შრომის კერძო ბიუროების დაკეტვას. მუშებმა ამ კერძო ბიუროებში ფანჯრების დამსხვრევაც მოინდომეს, ამაზე რამდენჯერმე კიდევ მოუვიდათ პოლიციასთან შეტაკება. წარსულ კვირას შრომის ბირჟაში მუშებმა კრება მოახდინეს, კომისია აირჩიეს და მიანდეს, მოქმედების პროგრამა შეადგინეთო. მუშებმა გადასწყვიტეს, პარიზსა და პროვინციაში მრავალი კრება მოვახდინოთ და შრომის კერძო ბიუროების დაკეტვა მოვითხოვოთო.

გაზ. „ლანტერნ“-ი ამტკიცებს, პარიზის პოლიციის პრეფექტს ლეპინს უსათუოდ სამსახურიდან დაითხოვენო. პოლიცია შრომის ბირჟაში ლეპინის ბრძანებით შევარდნილაო. ამიტომ მუშებიც და დეპუტატებიც უმთავრესად ლეპინს ემდურებოდნენ და იმის დათხოვნას სთხოვდნენ მთავრობას.

## ახალი ამბავი

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, **ტფილისის მაზრაში** წელს მოსულა პური—798,022 ფუთი, ქერი—94,718 ფუთი, სიმინდი—21,480, ფუთი, ფშვრია—1,099 ფუთი, ფეტვი—9,730 ფუთი და ბრინჯი—45,000 მ., გასასყიდად მცხოვრებთ (იმის გარდა, რაც გამოსაკვებად და სათესლედ არის საჭირო) დარჩებათ: პური—15,965 ფუთი, სიმინდი—18,643, ფეტვი—2,679 ფუთი, და ბრინჯი—31,000 ფუთი. კერძოდ ცუდი მოსავალი ყოფილა სართიჭალის საბოქაულოში, სადაც ნათესობა დაუზარალებია გვალვასა და ქარს. ტფილისის საბოქაულოში ბევრგან სეტყვას გაუფუჭებია ნათესობა.

✦ დღეს, 29 ოქტომბერს, ტფილისის სამხედრო საკრებულოს დარბაზში დააფიცებენ ახლად **ჯარში გაწვეულ ყმაწვილ კაცებს.**

✦ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფილისის **სამხედრო საკრებულოში** კენჭის ამოსაღებად და შესამოწმებლად არ გამოცხადდა 52 კაციო. გუშინ-წინ ქალაქის მოურავმა გაუგზავნა პოლიცმეისტერს ამათი სია და სთხოვა განკარგულება მოახდინოს იმათ მოსაძებნად.

✦ **ქუჩებსა და ბაღებში** ხე-ტყის გამშენებელმა კომისიამ არ შეიწყნარა ბავშთათვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობის თხოვნა ნოვოტროიცკის სოფელში, ავლაბრისაკენ, ერთ ნაჭერ ადგილის დათმობის შესახებ. ამ ადგილზე საზოგადოებას განუზრახავს ბავშთათვის გონიერ გასართობებისა და სათამაშოების მოწყობა. კომისიამ უარჰყო ეს თხოვნა, რადგან ქალაქსა აქვს განზრახული ამ ადგილზე ბაღის გაშენება. კომისიამ განიხილა აგრეთვე ერთის წევრის მოხსენება ალექსანდრეს ბაღში სასმელების გასასყიდ ფარდულების უვარგისობისა და სიბინძურის შესახებ. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, ან აალებინოს ეს ფარდულები, ან ისე მოაწყობინოს, რომ ბაღი არ უშნოვდებოდეს ულაზათო ქოხებითაო. კომისიის აზრით, ამ ფარდულებში ცივ სასმელების მეტი არაფერი უნდა იყიდებოდეს. ხშირად მცხოვრებნი, სახლების აშენების თუ შეკეთების დროს, ქუჩებში დარგულ ხეებს აფუჭებენ. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ როცა მცხოვრებნი სახლების შესაკეთებლად თუ ასაშენებლად მოწმობებს გამოიტანენ, საამშენებლო განყოფილებამ ხელწერილით დაავალოს ხოლმე, რომ ქუჩეებში ხეები არ გააფუჭოს.

✦ 26 ოქტომბერს კრება ჰქონდათ ტფილისის **წყალთა მეორე ოლქის** რწმუნებულთ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში 1902 წლისა. შემდეგ კრებამ სოღანლუღის ადგილები მეორე ოლქის ნაწილად სცნო. დასასრულ არჩევნები მოხდა. 1903 წლიდან 1906 წლამდე მერაბად ამორჩეულ იქმნა ორთაჭალის მცხოვრები ისაკ ბაშჯეუკმელიქოვი, იმის კანდიდატად თაიროვის ბაღის გამგე მიხეილ ჯიგაია; საბჭოს წევრად კრწანისის განყოფილებიდან არჩეულ იქმნა კ. ი. მესხიშვილი, იმის კანდიდატად გ. მ. წურინოვი, ხოლო ორთაჭალისა და ნავთლუღის განყოფილებიდან—გიორგი გ. შადინოვი, იმის კანდიდატად ბ-ნი ვართანოვი.

✦ გუშინ, 28 ოქტომბერს, გუბერნატორმა, ვიცე-გუბერნატორისა, პოლიცმეისტრისა და ხუროთმოძღვრის თანხლებით დაათვალიერა კონსულის ქუჩაზე **ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის** ახლად აგებული შენობა, რომელიც ჯერ კიდევ სრულად არ არის დამთავრებული. გუბერნატორმა მოიწონა შენობა.

✦ **თელავის მაზრის** უფროსის თანაშემწედ დაინიშნა საგუბერნიო გამგეობის მოხელე ყიფიანი.

✦ ტფილისის მესამე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავადი რატიშვილი დაინიშნა **ქვემო-მაჩხაანის ბოქაულად.**

✦ ქუჩების ხეების გამშენებელმა კომისიამ დაადგინა ახლო მომავალში ხეები გააშენოს შემდეგ ქუჩებზე: ანდრეევისა, საუფლისწულოსა, ამაღლებისა, გორისა, შერემეტევისა, ანასტასიევისა და მუშტაიდისაზე.

✦ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრანდმეისტერმა საარტისტო საზოგადოების თეატრის მოსამსახურეებს წაუკითხა ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ცეცხლს, ვიდრე მქრობელი რაზმი მოეშველებოდეს. ასეთსავე ლექციებს ბრანდმეისტერი წაუკითხავს ქართულისა და სახაზინო თეატრების მოსამსახურეთ.

✦ ხვალ, 30 ოქტომბერს, სხდომა ექმნება ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს. საბჭომ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი გადამდებ სენის გავრცელების წინააღმდეგ და აგრეთვე მოხსენება საბაქტერიოლოგო ლაბორატორიის დაარების შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის სანერგეში კარგა ბლომად ხეები შემოაკლდა გამგეობას. თავ. ბარათაშვილს ნება მიუცია გამგეობისათვის სანერგესათვის ხეები გა-

ოატანინოს თავის ტყიდან. კომისიამ დაადგინა მიანდოს ქალაქის მებაღეს მ. ა. რომანოვს, გაიგოს, რა ფასად უთმობს თავ. ბარათაშვილი ქალაქს ხეებს და შემდეგ მუშები წაიყვანოს ნერგების გადმოსატანად.

# ტფილისის ქალაქის საბჭო

27 ოქტომბერი

საბჭოს წარსულმა სხდომამ, ხმ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკის თხოვნისა გამო, დაავალა გამგეობას, გამოიანგარიშეთ, შესაძლებელი იქმნება თუ არა ქალაქის თვით-მმართველობაში დაბალ მოსამსახურეთ უკანვე დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც საპენსიო თანხად შემოტანილი ექმნებათ და პენსიის დამსახურებამდე სამსახურს თავს დაანებებენო.

გამგეობას დაწვრილებით უანგარიშნია, ყველა მოსამსახურეს რამდენი ეძლევა ჯამაგირი,—რამდენი ექმნება საპენსიო კასაში შემოსატანი და რა ზედგავლენა ექმნება კასაზე მდაბალ მოსამსახურეთაგან შემოტანილი ფული უკან რომ დაუბრუნდეს შემომტანსაო. ამ ანგარიშით აღმოჩენილა: თუ 50 თუმნის ქვევით ჯამაგირის მოსამსახურეთ დაუბრუნდება კასაში შემოტანილი ფული, ამ შემთხვევაში ქალაქმა იმ ფულის გარდა, რომელიც თავისის მხრით სავალდებულოდ უნდა მისცეს კასას ყოველ-წლივ თითქმის შვიდას თუმნამდე, კიდევ უნდა იხადოს ას-ორმოც თუმნამდეო. მაგრამ თუ 36 თუმნის ქვევით მოსამსახურეთა რიცხვით ვიანგარიშეთ, ამ შემთხვევაში კასა ადვილად შესძლებს პენსიონერის მიერ შემოტანილ ფულის უკან დაბრუნებას, როცა მოსამსახურე პენსიის დამსახურებამდე სამსახურს თავს დაანებებსო.

ცოტა კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ვისაც 36 თუმნამდე წლიური ჯამაგირი ეძლევა, საპენსიო კასაში მონაწილეობას მოისურვებს და პენსიის დამსახურებამდე სამსახურს თავს დაანებებს, სრულიად დაუბრუნდეს, რამდენიც ამ დღისათვის კასაში შეტანილი ფული ექმნება, ხოლო სარგებელი ამ ფულისა არ მიეცემაო.

ჩერნომორსკის ცხენოსანთა პოლკის რაზმი დროებით ტფილისში ჩამოეყვანათ ქალაქში წესიერების დასაცველად. ეს პოლკი არტილერიის ყაზარმებში დაბინავებულა და წყალს ამ ყაზარმებში გაყვანილის ქალაქის მილიდან ხარჯავდა თურმე. არტილერიის სამმართველოს უანგარიშნია და 137 მანეთის წყალი დაუხარჯავს ჩერნომორსკის ცხენოსან რაზმს, ფულიც ქალაქისათვის უზღვიათ. ეხლა პოლკის უფროსის თხოვნის თანახმად ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ქალაქის გამგეობისთვის მიუწერია: მოახსენეთ ქალაქის საბჭოს, ეს ფულიც უკან დაუბრუნოს პოლკს და შემდეგშიაც ნუ გამოართმევს წყლის ფულს, რადგან პოლკი ქალაქის წესიერებას ემსახურება და ამისთვის სამართლიანობა მოითხოვს წყალი უფასოდ გაეთმოს პოლკსაო.

საბჭომ ერთხმად უარ-ჰყო გამგეობის მოხსენება, რომლითაც იგი შესაძლებლად სცნობდა პოლკის სათხოვარის დაკმაყოფილებას.

ი. ს. ყორღანოვს ვერაზე ადგილი ჰქონია ვარდისუბნის ქუჩაზე, მაგრამ უსწორ-მასწორო ნაჭერი ყოფილა, ამ მიწას ორივე მხრით ქუჩა უძევს, მაგრამ ერთი მათგანი ერუ ქუჩაა, მეორე-კი—არა და სწორედ ეს ქუჩა დიდი უსწორ-მასწოროა—თავში 5 საჟენამდეა, ბოლოში-კი ორ საჟენამდე სიგანე აქვს. ამ ქუჩის გასასწორებლად ქალაქს უთხოვნია ბ-ნ ყორღანოვისათვის ადგილის დათმობა და ამასაც სრული თანხმობა გამოუცხადებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ერუ ქუჩიდან ცოტაოდენ მიწას მეც მომიჭრით, რომ ჩემი ადგილი გავასწოროო.

გამგეობას გამოუკვლევია ადგილობრივ და აღმოჩენილა, რომ ბ-ნ ყორღანოვმა ქუჩის გასასწორებლად უნდა მოსჭრას თავისს ადგილს 56 საჟენამდე, ქალაქმა-კი უსწორ-მასწორო ერუ ქუჩას უნდა მოსჭრას 5 საჟენამდე.

საბჭომ გამგეობის მოხსენება არ დაამტკიცა, დაავალა შემდეგ სხდომისათვის კიდევ დაწვრილებითი ცნობები წარმოადგინოს და აგრეთვე ბ-ნ ყორღანოვმაც წერილობითი განცხადებაც შემოიტანოს ამის შესახებაო.

შარშან ორასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც რუსეთში ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა დაიწყეს. ამ დღის აღსანიშნავად ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა განცხადება შეიტანა საბჭოში: ამისთანა დღეს ტფილისის ქალაქის საბჭო უყურადღებოდ არ დასტოვებს და რომელსამე კეთილის საქმით აღნიშნავს, რადგან თვით-მმართველობის ერთ-ერთ საფუძველს ბეჭდვის შემწეობით თავისს მოქმედების გამოაშკარავება შეადგენსო. ამ იუბილეს აღსანიშნავად იმ დროს თავ. ჩერქეზიშვილი სთხოვდა საბჭოს: ა) ბეჭდვით საქმეთა მოსამსახურეების შვილების აღსაზრდელად ორი სტიპენდია დაინიშნოს ტფილისის საშუალო სასწავლებელში—ერთი ვაჟებისა და მეორე—ქალთა, თითო ათ-ათი თუმნისა; ბ) მიხეილის საავადმყოფოში ერთი კრავატი დაიდგას ბეჭდვითი საქმის დავრდომილ მოღვაწეთაგანისათვის და ამისათვის წელიწადში 30 თუმანი გადაიდოს; გ) წინადაც უთხოვნია ქალაქს და უარი მოსვლია, მაგრამ ეხლა შესაძლებელია და ვსთხოვოთ მთავრობას ნება დართოს ქალაქის საბჭოს ყოველ-კვირეული გამოცემა „ქალაქის საბჭოს ცნობანი“ გამოსცეს.

საბჭომ შარშანვე კომისია აირჩია ამ საკითხის გამოსარკვევად და წარსულ ორშაბათს შეერთებულ კომისიისა და გამგეობის კრების მოხსენება წარმოუდგინეს საბჭოს. საბოლოოდ ესე დაუდგენიათ: ა) ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთ ასოთ-ამწყობამდე შემწეობა ეძლევათ და უპირატესობა ეძლევა იმას, ვინც ტფილისის ჟურნალ-გაზეთებში მუშაობს და ტფილისში ცხოვრობს; ბ) სტიპენდიები ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისათვის ტფილისის საშუალო სასწავლებლებში დაწესდეს და ერთი სპეციალ სასწავლებელში, სადაც ბეჭდვით საქმეს ასწავლიან, და წლიურად 12 თუმანი დაენიშნოს; გ) სტიპენდიების დანიშვნა და საავადმყოფოში კრავატის მიცემა უნდა გადაწყვიტოს ქალაქის გამგეობისა და საბჭოს მიერ ამორჩეულ ორ ხმოსანთაგან შეერთებულმა კრებამაო.

საბჭომ მოიწონა ეს მოხსენება და დაამტკიცა.

ტფილისის ტრამვაის ზედამხედველმა კომისიამ უსახელო საზოგადოება 1901—1902 წლების განმავლობაში სამას ცხრამეტის თუმნით დააჯარიმა, რადგან ვაგონების ფარნები არ ვარგოდა და ცუდად ანათებდნენო. უსახელო საზოგადოება აქამდე ყურსაც არ იბერტყდა, გაჩუმებული იყო, ახლა-კი საბჭოსათვის ქაღალდი მოურთმევია, კომისია და გამგეობა უსამართლოდ მოგვექცნენ და უკანონოდ დაგვაჯარიმესო. სთხოვდა ამის გაუქმებას.

ხმოსანთა შორის ჩამოგდებულმა კამათმა გამოარკვია, რომ არა თუ ეს ჯარიმა, გაცილებით ამაზე მეტიც რომ გაეწერა კომისიას, ისიც ცოტა იქმნებოდა, რადგან უსახელო საზოგადოება დაყენებით უარჰყოფს ქალაქთან ხელშეკრულობის ძალას და დღე-მუდამ არღვევსო.

საბჭომ უარი უთხრა უსახელო საზოგადოებას ჯარიმის დაბრუნებაზე.

დასასრულ საბჭომ აირჩია: სკოლათა გამგე კომისიის თავჯდომარედ თავ. ვ. ს. მიქელაძე (29—15); სამრეწველო საგუბერნიო საკრებულოს წევრად ხმ. ა. ნ. მიღოვი (43—1); ქალაქის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავჯდომარედ ხმ. ი. ფ. ტიგრანიანი (41—4) და იმავე საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრად ხმ. ს. დ. ლისიციანი (38—6).

# რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის ყველა სახელოსნო საზოგადოებას წინადადება მისცა, დაათვალიერონ სახელოსნო დაწესებულებები. ღერციკთა ამქარს ამ დღეებში დაუთვალიერებია 12 სამკერვალო სახელოსნო და აღმოუჩენია, რომ მუშებს კანონით დადგენილ ათ საათის მაგიერ ამუშავებენ 14 საათს დღე-და-ღამეში და სადილისთვის $1^{1}/_{2}$ მაგიერ ერთს საათით ანთავისუფლებენ.

◆ „სიბ. ჟ.“ იუწყება: უმაღლეს სასულიერო მთავრობამ ნება დართო, ამა წლის 24 სექტემბერს დროებით დახურული ტომსკის სასულიერო სემინარია 1 ნოემბრიდან ისევ გახსნან. ნება დაურთავთ აგრეთვე 191 მოსწავლეთაგან 151 მოსწავლე ისევ მიიღონ.

◆ მინსკის ქალაქის მოურავს საერო-განათლების სამინისტროსათვის წარუდგენია მოხსენება მინსკში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. შუამდგომლობაში დასახელებულია ის გარემოება, რომ ქ. მინსკს ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში შუა ადგილი უჭირავს და შიგ 100 ათასი მცხოვრებია. ქალაქის საბჭო ჰპირდება უფასოდ საჭირო ადგილს, ღირებულს 300 ათას მანეთამდე, და 500 ათას მანეთს უნივერსიტეტის შენობის ასაგებად.

◆ სატახტო და პროვინციის ბევრმა განათლებულმა საზოგადოებამ ამ უკანასკნელ ხანებში თავის წესდებაში შეიტანეს ახალი მუხლი იმის შესახებ, რომ ხალხში განათლების გავრცელებასთან ერთად მოაწყონ სახალხო გასართობებიც. რადგან დღეს ხალხის სწავლა-განათლებისათვის მზრუნველი საზოგადოებები საერო განათლების მინისტრის ხელში გადავიდა, განკარგულება მოუხდენიათ, რომ სახალხო განათლების საქმისაგან გამოყოფილ იქმნას სახალხო გასართობების საქმე და სახალხო გასართობების მომწყობი საზოგადოება გადავიდეს შინაგან საქმეთა მინისტრის ხელში.

◆ 15 ოქტომბერს ოდესის სასამართლო პალატის სესიას წოდებათა წარმომადგენლის მონაწილეობით კამენეც-პოდოლში განუხილავს **14** გლეხის საქმე, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისა გამო. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, საქმე ასე ყოფილა: უშიცკის მაზრის ს. რუდაში მცხოვრებ გლეხსა და მემამულე ზალესკის შორის დავა ყოფილა ატეხილი მიწის თაობაზე. სენატს დავა მემამულის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. გლეხები ამ გადაწყვეტილებას არ დაჰყაბულებულან, უმაღლეს სახელობაზე თხოვნა გაუგზავნიათ, ხოლო მემამულე ზალესკისათვის მამულით სარგებლობის ნება არ მიუციათ. 26 აპრილს (1902). გუბერნატორის განკარგულების ძალით მემამულესათვის მამულის ჩასაბარებლად ს. რუდაში მისულა მომრიგებელი შუამავალი, რომელსაც თან ხლებია მაზრის უფროსი თავის თანაშემწით, ბოქაული და პოლიციელნი, რიცხვით 200 კაცამდე. ამათ მისვლამდე სადაო მამულში შეკრებილან მთელი ს. რუდის მცხოვრებნი, მამაკაცები, დედაკაცები და ბავშები, რიცხვით 300-მდე, შეიარაღებულნი კეტებითა და ჯოხებით. მოხელეებმა შეკრებილ ხალხს განუმარტეს სენატის ბრძანება და შემდეგ გასცეს განკარგულება, მემამულეს აემუშავებინა გუთანი. მაგრამ, როგორც-კი დაიძრა გუთანი, ქალები და ბავშები მივარდნენ გუთანს და გაწვნენ ხნულებში. პოლიციელებმა მოინდომეს გაწოლილ ბავშების და ქალების ხნულიდან გარეკა, მაგრამ ამ დროს მისცვივდნენ მათ გლეხები კეტებითა და ჯოხებით და ცემა დაუწყეს პოლიციელებს, ბევრი დასჭრეს კიდევაც. პოლიციელნი იძულებულნი იყვნენ უკან დაწეულიყვნენ, გააფთრებულ და გაბოროტებულ ბრბოსათვის თავი დაენებებინათ, დ̃ გუთანი ისევ უკან წაეღოთ. ხალხი თავის თავად დამშვიდდა და დაიშალა. შემდეგ ამ საქმის თაობაზე დაჭერილ იქმნა 14 კაცი, რომელთაც მოთავეობა ბრალდებოდათ. აი, ამ 14 კაცის საქმე განიხილა პალატამ და გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და

# ფელეტონი

## წერილები ლონდონიდან

XIX

ლონდონის თეატრები.—განთქმული აქტიორები და აქტრისები: ირვინგი, ფორბეს-რობერტსონი, ელენ ტერი, კამპბელი და სხვანი.

ლონდონელები ამ უკანასკნელ ათ წელიწადში საკვირვლად გაიტაცა სანახავებისა და გართობის წყურვილმა. საკონცერტო დარბაზებისა, კაფე-შანტანებისა (ინგლისურად სამუსიკო დარბაზებისა) და გასართობ ბაღების რიცხვი სწორედ ზღაპრულის სისწრაფით მატულობს. უკანასკნელ 10-12 წელიწადში მარტო 32 ახალი თეატრი აშენდა. მართალია ყველა თეატრი დიდი როდია, მაგრამ სულ პატარა თეატრებიც კი ათასამდე მაყურებელს მაინც იტევენ.

თეატრების მომეტებული ნაწილი ოპერეტებითა, ვოდევილებითა, ბალეტებითა, გულის გამხეთქ მელოდრამებითა და საშინელ დრამებით მიდის იოლად. მელოდრამებში ყოველთვის საიდუმლო პოლიციის პატიოსანი აგენტები საზარელ ბოროტ-მოქმედებს დაეძებენ; საშინელ დრამებში კიდევ გმირი კაცები და ქალები რამდენჯერმე იხრჩობენ წყალში თავსა და ვერ დამხრჩვალან, ცეცხლში იწვიან და ვერ დამწვარან, ან თითონვე იკლავენ რევოლვერით თავსა, ან სხვები ჰკლავენ და მერე ისევ მკვდრეთით სდგებიან.

მაგრამ, ოპერაც რომ არ ჩავაგდოთ, ლონდონში ექვსი-შვიდი ისეთი თეატრიცაა, სადაც ყოველ ცისმარე დღეს სერიოზულ დრამასა და კომედიას ადგენენ ინგლისელ და უცხოელ ავტორებისას: შექსპირისა, ლ. ტოლსტოისა, იბსენისა, სარდუსა, პიპეროსა, ჰაუპტმანისა, და ანუნციოსა და როსტანისას. ამ თეატრებში პიესების შესაფერისად არტისტებიც დიდი ნიჭის პატრონები არიან და ხელოვნებაც კარგად ესმისთ. ირვინგისა, ფორბეს-რობერტსონისა და ელენ ტერის გარდა, აქ თეატრების სცენაზე ხშირად თამაშობენ სარა ბერნარი, კოკლენი და ელეონორა დუზე. დუზე ეხლაც ესტუმრა ლონდონს და თავის მოხდენის, დაკვირვებულის და რეალურ თამაშობით მაყურებლებს ცათაფრენას უკიდებს.

აქაურ თეატრებში მეტად მდიდრულადა და საკვირველის სინამდვილით სდგამენ პიესებს. ხამ კაცს სწორედ აოცებს ეს სიმდიდრე და სინამდვილე. რაც უნდა სულელური ვოდევილი, ან უაზრო კუპლეტებით სავსე შარჟი იყოს, მაინც მეტად კარგადა სდგამენ; დეკორაციები, სინათლის ეფექტები, არტისტების ტანისამოსი თავის სიმდიდრითა და ხელოვნებით გაკვირვებთ სწორედ.

ორკესტრებზე და მუსიკაზე კი ნურას უკაცრავად. ოპერისა და კიდევ ორ-სამ დიდის თეატრის გარდა, მუსიკა ყველგან ცუდია, ორკესტრებში ცოტა მუსიკანტია, საკრავები უვარგისი, პიესებსაც გაცვეთილს, ბანალურს ასრულებენ. ლონდონელებს მეტიც არ უნდათ, ამ მუსიკასაც სჯერდებიან. თითონ ლონდონელებს მუსიკის ნიჭი აკლიათ; აქაურ უბრალო ხალხის სიმღერა უფრო გაბმულ ყვირილსა ჰგავს, ვიდრე ნამდვილ სიმღერას; ინგლისელი სანტიმენტალური ქალები ხომ ისე თავ-მოსაბეზრებლად მღერიან, რომ ყველანი სასაცილოდ იგდებენ... მით მაინც ინგლისელებს ძალიან უყვართ სიმღერა და მუსიკა. განთქმულ მემუსიკეებს სარაზატის, იოხიმს, პადარევსკის, რეშკეს ხალხი ისე გაგიჟებით არსად არ მიაწყდება ხოლმე, როგორც აქა და შეერთებულ შტატებში, სადაც ჯონ ბულის (ინგლისელების მეტი სახელია) ძმები და ძმის-წულები ცხოვრებენ.

მართალია მეტის-მეტად ბევრი თეატრია აქა, მაგრამ ექვს-მილიონიანი დევი-უზარმაზარი ლონდონი ყოველ დღე ძალზე ავსებს ამ თეატრებს; ანტრეპრენიორებსა და თეატრის პატრონებს—ბევრი თეატრი სააქციონერო კამპანიებს ეკუთვნის—კარგი შემოსავალი აქვთ; ზოგიერთი სახელ-განთქმული თეატრი $30^{0}/_{0}$-ზე მეტს წლიურ მოგებას იძლევა. საზოგადოება სწორედ ზედ აწყდება ყველა ადგილს, სადაც სალამოობით რამე საყურებელი და გასართობი ეგულება· ხალხი დარუვებული მიდის თეატრებისაკენ. ყველა თეატრის სავარძლები და ლოჟები მთელ ქალაქში გაფანტულ ურიცხვ კანტორაში იყიდება. პარტერისა და გალერეის ბილეთები კი უსათუოდ თეატრის შესავალში უნდა იყიდოთ. თეატრის მოყვარულნი 2-3 საათით წინ მიდიან, რომ პირველ რიგის ბილეთი აიღონ. როცა ახალ პიესებს სდგამენ, ან სცენაზე განთქმული საყვარელი არტისტები გამოდიან, ხალხი შესასვლელ კარებთან ხშირად 6, 8 და 10 საათის წინაც იკრიბება! გუშინ ახლად გადაკეთებულ საოპერო თეატრის „gaiety“-ს („მხიარულების“) გახსნის დროს, პირველ წარმოდგენის მოყვარულნი გარიჟრაჟზე, დილის 5 საათზე, მისულიყვნენ ბილეთების საყიდლად. დღეს გაზეთებში დაწვრილებითაა აწერილი და დასურათებული, თეატრის მოყვარული ხალხი როგორ ელოდებოდა ახალ თეატრის გახსნას. მხიარული, კარგად ჩაცმული ქალი და კაცი დასაკეც სკამებით, საჭმელ-სასმლით, სპირტის ლამპებითა და ჩაიდნებით, წიგნებითა და ჟურნალებით მთელი 14 საათი იდგა თეატრის შესავალთან და კასის გაღებას ელოდებოდა. წვიმამ ოთხჯერ დაუშო და გულ-კეთილი, მხიარული თეატრის მოყვარული ხალხი კარგად დაალბო. გაწუწულ ხალხის ხუმრობასა და ოხუნჯობას საზღვარი არა ჰქონდა თურმე.

რასაკვირველია, ეს 14 საათი ლოდინი არა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ მე თითონაც ბევრჯელ მინახავს, რომ მშვენივრად ჩაცმული ქალები, ნაშუადღევის 2 საათიდან ტროტუარზე დასაკეც სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და საღამოს 8 საათამდე თეატრის კასის გაღებას ელოდებოდნენ. 3 და 4 საათი დგომა კი მე თითონაც შემხვედრია. ერთის სიტყვით, თეატრის მოყვარულთა შეკრება და

გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ორს—$2\frac{1}{2}$ წლით, ხოლო დანარჩენთ—$1\frac{1}{2}$ წლით.

◆ ელისავეტგრადის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ორის წლით შეჩერების შემდეგ ხელ-ახლა დაიწყო მოქმედება.

◆ ყირიმის გუბერნატორს ბრძანება გაუცია. ამ ბრძანებით ძალით უკან გაბრუნებულ უნდა იქმნან ის თათრები, რომლებიც ოსმალეთის ქვეშევრდომობას ღებულობენ და შემდეგ ისევ ყირიმში ბრუნდებიან.

◆ 18 სექტემბერს ქალაქ რიგის მომრიგებელ მოსამართლეს ფონ-ბ. ფოსტით მიუღია ამანათი შეხვეული ჩვეულებრივ შესახვევ ქაღალდში. გახსნის შემდეგ ამანათში უნახავს კაკლის ხისაგან გაკეთებული კოლოფი თავის გასაღებით. კოლოფმა გაღების დროს საშინლად იფეთქა და ოთახი თოფის წამლის ბოლით გაივსო. როდესაც ბოლი გაიფანტა, აღმოჩნდა, კოლოფი ნამცეცებად ქცეული და მოსამართლე მსუბუქად დაშავებული.

# პრესსა

„კავკაზ“-ის რედაქცია დიდ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას უძღვნის ბ. კორხანიძის „ჟივოე სლოვო“-ს, მაგრამ თვითონ კორხანიძის წიგნს შენიშვნის სულ პატარა ნაწილი ეხება. მეტი წილი კი უფრო საზოგადო ხასიათისა—ეხება საზოგადოთ სასკოლო საქმეს ჩვენში. მაგრამ ისა სჯობდა, რომ სულ ხმა არ ამოეღო და სრული თავისი უვიცობა არ გამოეჩინა...

დამახასიათებელი თვისება კავკასიისა, თვისება, რომელიც სრულებით ასხვავებს მას რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ის არისო, გვამცნევს ბრძენი რედაქცია, რომ კავკასიის დაბალ სკოლებში შემსვლელ ბავშვებმა რუსული ენა არ იციანო. ამიტომ აქ სკოლის დანიშნულებაც უფრო ვრცელი და რთული არისო. როგორ უნდა მოერიოს ამ რთულსა და ვრცელ დანიშნულებას, ოფიციალურ რედაქციის აზრით? სანამ თავის აზრს გამოსთქვამდეს, გაზეთი ჯერ დასცინის ადგილობრივ პრესსას.

> „ადგილობრივ პრესაში გაჩნდა, მეტი რომ არ ვსთქვათ, სასაცილო პროექტი—დაბალ კლასებში სწავლება ადგილობრივ ენებზე უნდა სწარმოებდეს და შემდეგ კი, როცა სახელმწიფო ენას საკმარისად შეითვისებენ, სახელმწიფო ენაზე უნდა ასწავლიდნენო.

ეხლავე სჩანს, თუ როგორ მწერალთან გაქვს საქმე: დასცინის, ყბად იღებს პროექტს, რომელიც დამყარებულია საღ პედაგოგიაზე და გონივრულ მოსაზრებაზე. მაგრამ ჩავყვეთ ავტორს ბოლომდე, რომ უფრო ნათლად დავინახოთ მისი „არა სასაცილო“ სიბრძნე:

> არც კი ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ საოცარ პროექტის განხორციელება წარმოუდგენელია პრაქტიკულ შეუძლებლობის გამო: მაშინ ხომ უნდა აგვეჭრელებინა სასკოლო სწავლების სისტემა (?)—სადაც ქართველები იქნებოდა, ქართულად უნდა გვესწავლებინა, სომხებისათვის სომხურად, ბერძნებისათვის ბერძნულად, იმერლებისათვის იმერულად, გურულებისათვის გურულად, მეგრელებისათვის მეგრულად და სხვა.

სამშობლო ენაზე სწავლის მიღება ხომ უარჰყო ავტორმა, ალბად პედაგოგიის ღრმად ცოდნის მიზეზით, ეხლა, როგორც ხედავთ, კავკასიის ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნა გამოიჩინა—იმერლები, გურულები და მეგრელები თურმე ქართულად არ ლაპარაკობენ!

ავტორის სიბრძნე მარტო ამით არ განიზომება.

> ვთქვათ პრინციპიალურად მივიღეთ კიდეც სამშობლო ენაზე სწავლება. ლოღიკური შედეგი ამისა ის იქნებოდა, რომ სამართალიცა და ადმინისტრატიული განკარგულებანი ადგილობრივ ენებზე სწარმოებდნენ და სახელმწიფო ენას კი მეორე ხარისხის ადგილი დარჩებოდა; ე. ი. გამოვიდოდა „რედუქციოად აბსურდუმ“-ის დაგვარი მოვლენა.

სკოლა გასაგებ ენაზე, სამართალი გასაგებ ენაზე აბსურდია „კავკაზ“-ის რედაქციისათვის.

⁂

პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია გზათა სამინისტროსთან დაარსებულის კომისიის ანგარიში რკინის გზების სახელოსნოთა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. როგორც ანგარიშიდან სჩანს, გზათა სამინისტროს განუზრახავს შესცვალოს ხსებულ მუშების მდგომარეობა და ამისთვის კომისიას კიდეც შეუდგენია პროექტი. კომისიის ანგარიში ამბობს:

> გზათა სამინისტროს ცნობებით, უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში რკინის გზების სახელოსნოებში ბევრჯელ შეწყდა წესიერი მუშაობა. ეკატერინინისა, კურსკო-ხარკოვო-სევასტოპოლისა, ამიერ-კავკასიისა, ვლადიკავკაზისა, ნიკოლაევსკისა, რიაზანო-ურალსკისა და ციმბირის რკინის გზებზე ამ დროის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა უწესოება და შეჩერდა მუშაობა. განსაკუთრებით ხანგრძლივი და ძლიერი იყო მუშების გაფიცვა ამიერ-კავკასიის გზებზე 1900 წელს, როდესაც მატარებლების რიცხვის შემცირებაც-კი შეიქმნა საჭირო, და ვლადიკავკაზის რკინის გზებზე 1902 წელს, სადაც მატარებლების მოძრაობის შეჩერების ასაცილებლად საჭირო შეიქნა რკინის გზის ბატალიონის გაგზავნა სახელოსნოებსა და დეპოში სამუშავებლად.
>
> რკინის გზების სახელოსნოთა მუშები, კერძო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებთან შედარებით, უკეთეს პირობებში არიან. მაგალითად, შეღავათი აქვთ სამუშაო დროში: ჩვეულებრივ 10 საათს მუშაობენ, ხოლო კვირა-უქმეების წინა დღით—8 საათს; მუშაობა არ არის აგრეთვე ზოგიერთ ადგილობრივ დღესასწაულების დღეს. დღესასწაულში მუშაობა-კი აძლიერებს მუშის ჯილდოს, რადგან ამ დღეებში მუშა ჩვეულებრივზე $1\frac{1}{2}$-ჯერ მეტს იღებს.
>
> მიუხედავად ამისა, რკინის გზების მუშათა უკმაყოფილებას ბოლო არ მოეღო, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინის გზების სახელოსნოებში და ამიტომ გზათა სამინისტრომ გაჰგზავნა ტფილისს რკინის გზების მთავარი ინსპექტორი საქმის გამოსარკვევად. გამოძიებამ, სხვათა შორის, აღმოაჩინა, რომ საჭიროა მიღებულ იქმნან ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამ გზებზე ბევრი არა კეთილსაიმედო მუშაა და ამიტომ საჭიროა, მდგომარეობის გაუმჯობესებით შედგენილ იქმნას საიმედო მუშათა კადრი, რომელსაც შეეძლოს კეთილი გავლენა იქონიოს დანარჩენ მუშებზე.
>
> თავის მუშაობაში კომისიამ იხელმძღვანელა რკინის გზების მოხელე-მსახურთა სამსახურის მდგომარეობით; შეუდარა მათის სამსახურის უფლება-უპირატესობანი მუშების უფლებებს. ამ შედარებამ გამოარკვია, რომ რკინის გზების მოხელე-მსახურნი სარგებლობენ ისეთის უფლებებით, რომელიც არა აქვთ მუშებს; სახელდობრ: 1) დროებით სამსახურიდან დათხოვა (ოტპუსკი) ჯამაგირის შეუჩერებლად, 2) სამსახურიდან გასვლის დროს, ავადმყოფობის მიზეზით, შემწეობის მიღება, 3) ავადმყოფობის დროს 4 თვის განმავლობაში ჯამაგირის მიღება და 4) სადგომით სარგებლობა ან სადგომისთვის ჯამაგირის მომატება; გარდა ამისა, უფასო ბილეთების მიღებაში მუშების უფლება უფრო შეზღუდულია, ვიდრე მოხელეებისა. ყველა ეს, რაც აქ ჩამოთვლილია, მოხელეთ აქვთ მინიჭებული, მუშებს-კი არა.
>
> კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ რკინის გზების ხელოსნები და მუშები სამ კატეგორიად არიან დაყოფილნი: 1) ჩვეულებრივი ხელოსანნი და მუშები, რომელნიც მუშაობენ სახელოსნოებში იმავე წესითა და რიგით, იმავე პირობებით, როგორც კერძო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები; 2) ხელოსანნი და მუშანი, რომელთაც ეგზამენით აქვთ შეძენილი უფლება მიიღონ ლოკომოტივის მაშინისტის თანაშემწის თანამდებობა და 3) ხელოსნები და მუშები, რომელნიც დეპოში მუშაობენ და მუდმივ მსახურებად ითვლებიან; მათი მოვალეობაა მატარებლებისა და ლოკომოტივების რემონტი.
>
> კომისიის აზრით, პირველ კატეგორიის ხელოსან-მუშებისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება საჭირო არ არის; რკინის გზის სამსახური არ თხოულობს, რომ ამ კატეგორიის მუშებს სამსახურის შტატის უფლებანი მიეცესო. მეორე კატეგორიის ხელოსანნი და მუშანი-კი უთუოდ უნდა ითვლებოდნენ შტატის მსახურებად, რადგან მათგან ივსება ლოკომოტივის მაშინისტების შტატი. რაც შეეხება მესამე კატეგორიის ხელოსნებსა და მუშებს, ისინი სულ სხვა, განსაკუთრებულ მოვალეობას ასრულებენ და ამიტომ უნდა სარგებლობდნენ შტატის მსახურთა ყველა უფლება-უპირატესობით; მით უმეტეს, რომ სწორედ ამ კატეგორიაში უნდა იყვნენ კეთილ-საიმედო მუშები, რადგან მათი გაფიცვა უფრო საშიშოა მატარებლების მოძრაობის წესიერად წარმოებისათვის, ვიდრე სხვა კატეგორიების მუშებისა.

ყველა ამ მოსაზრებათა ძალით, კომისიამ შემდეგი დაადგინა: 1) შტატის მსახურთა უფლებანი მიენიჭოს იმ ხელოსანთ და მუშათ, რომელნიც დეპოში მუშაობენ და იმათაც, რომელთაც ეგზამენით შეძენილი აქვსთ მაშინისტის თანაშემწის თანამდებობის უფლება და 2) დაწესდეს, რომ კავკასიისა და ციმბირის რკინის გზებზე, თუ საჭიროება მოითხოვს, შტატის სამსახურის უფლება-უპირატესობანი სახელოსნოების უბრალო ხელოსან-მუშებსაც მიენიჭოს.

# პატარა ფელეტონი

## თათრების პირველი დრამატურგი

27 ოქტომბერს ბაქოში ადგილობრივმა თათრებმა ერთი საყურადღებო იუბილეი გადაიხადეს. წელს სწორედ 50 წელიწადი შესრულდა, რაც პირველი თათრული პიესა „ჰაჯი ყარა“ დაიბეჭდა. ავტორი პიესისა მირზა ფეტალი ახუნდოვი კავკასიელია. ახუნდოვი დრამის მამამთავარია ადერბეიჯანურ ენაზე. ამიტომ ჩვენებურ თათართა ინტელიგენცია ძალიან აფასებს და მაღლა აყენებს როგორც ახუნდოვს, ისე იმის კომედიებს. ახუნდოვი დიდად ნიჭიერი კაცი იყო და ეს აშკარად ეტყობა ექვსავე კომედიას, დრამატურგის მიერ დაწერილს. ქართველები მეტად ნაკლებად, თითქოს სულ არ ვიცნობთ ჩვენ მეზობელ ხალხის, ადრბეიჯანელ თათრების ცხოვრებასა და ლიტერატურას. ამაში თვით თათრებიც არიან დამნაშავენი. დღემდე არამც თუ რუსულად, თათრულადაც არ არის გამოცემული ისეთი წიგნები, რომ კაცს შეეძლოს თათრების ნიჭიერ პოეტებისა და მწერლების გაცნობა. ხსენებულ დრამატურგის შესახებ, აი, რას გადმოგვცემს გაზეთი „კასპი“.

მირზა ფეტალი ახუნდოვი დაიბადა 1811 წელს, ქალაქ ნუხს, სადაც იმისი დედ-მამა სცხოვრობდა. ექვსი წლისა დაობლდა და გასაზრდელად აიყვანა ბიძამ, იმ დროს ცნობილმა მოლამ ახუნ ჰაჯი ალესკერმა. ამ ახუნდს ნუხში საკუთარი სასწავლებელი ჰქონდა. ახუნდოვმა გაათავა ეს სასწავლებელი. სამშობლო ენის გარდა კარგად შეისწავლა სპარსული და არაბული ენები. მოლა სამღვდლოდ ამზადებდა თავის მოსწავლეს, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელდა პოეტისა და ფილოსოფოსის მირზა შაფის წყალობით (შაფის თხზულებანი გერმანიაში გამოსცა ბოდენშტედტმა გერმანულის თარგმანითა და შენიშვნებით). აი, ეს შაფი გაიცნო 17 წლის ახუნდოვმა განჯაში, სადაც ბიძამ დასტოვა მექაში წასვლის წინ. შაფის ჩაგონებით ახუნდოვი ნუხის რუსულ სასწავლებელში მისცეს რუსულ ენის შესასწავლად. ამ სასწავლებლის გათავების შემდეგ ტფილისს ჩამოვიდა და აქ საქართველოს მთავარ-გამგის ბარონ როზენის კანცელარიაში შევიდა აღმოსავლეთ ენების მთარგმნელად. ეს ამბავი მოხდა 1834 წელს. მაშინ ახუნდოვი 23 წლისა იყო.

ახალგაზრდა კაცი გულმოდგინედ შეუდგა წიგნების კითხვას. ამავე დროს სწერდა ლექსებს სპარსულსა და თათრულს ენებზე. 1837 წელს დასწერა პოემა რუსთა პოეტის პუშკინის მოკვლის გამო. ეს პოემა რუსულადაც არის გადათარგმნილი. ამავე დროს დასწერა მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“, რომლის რუსული თარგმანიც „კავ. ვესტ.“-ში დაიბეჭდა 1901 წელს. მაგრამ ყველაზე საყურადღებო კომედიებია. 1851 წელს ტფილისში, როგორც ვუწყით, თავ. ვორონცოვის მეცადინეობით დაარსდა თეატრი. ამ გარემოებამ ახუნდოვიც ააფრთოვანა და კომედიები დააწერინა. თავ. ვორონცოვის ბრძა-

---

ლოდინი კასის წინ ჩვეულებრივი მოვლენაა ლონდონში. საინტერესო ისაა, რომ ეს თეატრალები მრავალ, სხვა-და-სხვა ხელობის საწყალ ხალხს უჩენენ საქმესა და ლუკმას.

რა წამს ერთი ოცი წყვილი მოლოდინე შეიკრიბება, მაშინვე თეატრთან მიწის გველივით საიდანღაც გაჩნდებიან ხოლმე კომედიანტები, აკრობატები და მეარღნეები, ბრმები და კოჭლები, ბავშვები და ბერი-კაცები, გაზეთებისა, ასანთისა („სპიჩკისა“), ყოველგვარ წვრილმანისა, ფორთოხალისა და ბანანის გამყიდავები... ყველანი თამაშობენ, ყვირიან, იგრიხებიან და შავ ფულსა თხოულობენ. ამოდენა ქუჩის მოთამაშე, გამამხიარულებელი ხალხი რომ იკრიბება, სჩანს, ინგლისელი თეატრალები კრიჟანგი, ძუნწი ხალხი არ უნდა იყოს. მაინც, კაცმა სწორე უნდა სთქვას, ინგლისელები მეარღნეებისა და საწყალ ხალხისათვის ფულს არ იშურებენ და გულ-უხვად ასაჩუქრებენ. ვინც თეატრსა და ცირკში მიდის, ესე იგი სამხიარულოდ მიდის, ის ხომ უფრო ხელ-გაშლით არიგებს საჩუქრებს.

დგომით მოჯერებული, ხშირად შეცივული და გაწუწული, საზოგადოება ბოლოს სირბილით ადის გალერიაში, ყველა თავ-თავის ადგილზე ჯდება და საოცარია სწორედ, რა მალე ივიწყებს დაღალვას... დაქანცვა სადღაც ჰქრება... თითქო შეულოცათ ვინმემაო. წარმოდგენა იწყება და საყვარელ არტისტის ნიჭი უფრო ჰხიბლავს, იტაცებს და მშვენიერების მაღალ, ჰაეროვან სამეფოში აფრენს მაყურებლის გონებას. ამნაირი გონების წარმტაცი არტისტი ლონდონში ერთი და ორი-კი არაა.

ყველაზე შესანიშნავ არტისტად ამათში მოხუცი ირვინგი ითვლება. ირვინგს სერის ხარისხიც-კი უბოძეს საოცარ ნიჭისათვის. მართლაც და ნამდვილი პირველ ხარისხოვანი ვარსკვლავია. თუმცა მოხუცებულია, მაგრამ დღესაც მშვენიერია შექსპირის როლებში. მეფე ლირისა, შეილოკისა, მაკბეტისა და რომეოს როლში მინახავს. ირვინგი ჰარიკისა და კინის კლასიკურ სკოლის არტისტია. მსმენელს ამისი ლექსების კითხვა, იქნება, ხანდახან ჰკუაშიაც არ დაუჯდეს: თითქო მეტის-მეტად დიდებულის კილოთი ჰკითხულობს, თითქო უფრო დეკლამაციას ატანს ძალას, მაგრამ ამისი თამაშობა ამა თუ იმ კარგად ნათქვამ ფრაზით, ამა თუ იმ მოძრაობით კია არა ჰხიბლავს მსმენელს; ირვინგი მეტად სრულ, ნამდვილ ხასიათებს ჰქმნის სცენაზე და ამით აჯადოვებს საზოგადოებას. ამისი ლირი მართლაც და მოხუცებული, თავ-ნება, ღირსებით სავსე, ღრმად შეწუხებული და გულ-ნატკენი მეფე და მამაა. რამწამს სცენაზე გამოდის, ირვინგი მაშინვე ანდამატივით იზიდავს მაყურებელთა ყურადღებას. ეს აქტიორი-კი არა, ნამდვილი შექსპირის ლირია. ნამეტნავად შეუდარებელია იმ სცენებში, სადაც ლირი გიჟდება და კორდელიას უკანასკნელადა ჰხვდება.

ლირში ირვინგი ამაყისა და ღრმად შეწუხებულ მამისა და მეფის ხასიათს გვისურათებს. შეილოკში-კი სულ სხვა ხასიათის გმირს გვიხატავს: ამისი შეილოკი პირადად შეურაცხყოფილი და გაბოროტებული კაცი როდია, ის გულ-ცივად და შეგნებით შურს იძიებს საუკუნოებით შეგინებულ და ფეხით გაქელილ ერის (ურიების) გულისათვის. ანტონიოს აირადის შურის ძიებით-კი არ ექცევა ისე დაუნდობლადა და სასტიკადა: შეილოკს ქრისტიანის გირვანქა ხორცი უნდა; თითონ დამცირებულს უნდა, რომ თავის ერისა და სარწმუნოების ამაყ დამჩაგრველთა დამცირებითა და შიშით დასტკბეს. ამიტომაა შეილოკი ასეთი ულმობელი, შეუდრეკელი და გულ-მაგარი. აქ კერძო პირები-კი არა, სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენლები ებრძვიან ერთმანეთს. ყველა ეს საოცარის სავსებითა, მკაფიოდა და მძლავრად იხატება ირვინგის გონივრულ, მოსაზრებულ თამაშობაში. დიახ, ირვინგი მოხუცების დროსაც-კი ნამდვილი პირველ-ხარისხოვანი არტისტია.

ხალხის მეორე საყვარელი არტისტი ფორბეს-რობერტსონია. ეს ჭკვიანი, ნიჭიერი და ამავე დროს ძლიერ განათლებული არტისტია. მეტად უკვირდება და უფიქრდება თავის თამაშს. იქნება ასეთი საკვირველი შეუდარებელი ჰამლეტიც ამიტომ იყოს. ბევრი პირველ-ხარისხოვანი არტისტი მინახავს დანიელ პრინცის როლში, მაგრამ ყველას ფორბეს-რობერტსონი სჯობია. ფილოსოფიურ ტემპერამენტის მახვილ რეფლექსიას, ხან სუსტის და ხან მეტად გაბედულ (პოლონიუსის მოკვლის სცენა) ხასიათის სირთულეს და მრავალფეროვანებას მეტად საოცარის სისრულით ასურათებს. გეგონებათ, თითონ ჰამლეტი ლაპარაკობს და დადის სცენაზეო. მიხვრა-მოხვრა მეტად უბრალო, გულწრფელი და მოხდენილი აქვს. განთქმულ მონოლოგს—„ყოფნა, თუ არ ყოფნა?“ (to be, or not to be?)—ისე მარტივადა და ნამდვილად წარმოსთქვამს ხოლმე, რომ მაყურებელს სწორედ აჯადოვებს. არც ერთი ძალ-დატანებითი მოძრაობა, არც ერთი ყალბი სიტყვა არ წასცდება. მახვილი გონებისა და გაუბედავ ხასიათის პატრონი-ჰამლეტი ცოცხალი სდგას სცენაზე და ამ ცოცხალ კაცის წამება და ტანჯვა ლახვარივით გხვდებათ გულში.—ოტელოსა და სხვა როლებშიაც ძალიან კარგია ფორბეს-რობერტსონი, მაგრამ ჰამლეტის როლს კი ჩვენ თაობაში ამისთანად ვერავინ ასრულებს. სწორედ შეუდარებელი ჰამლეტია! როცა ამ საკვირველ არტისტსა ვხედავ, ცხადად შევიგნებ ხოლმე, თუ „აღტაცებული ვისარიონი“ (ბელინსკი) ასეთის აღფრთოვანებით რად ლაპარაკობდა და რად სწერდა მოჩალოვის თამაშზე (ჰამლეტის როლში). მაგრამ მე კიდევ იმ აზრისა ვარ, რომ ფორბეს-რობერტსონი უფრო კარგად, სრულად და მართლად ასურათებს შექსპირის დიდებულ ქმნილებას.

**ლონდონელი**

(დასასრული იქმნება)

ნებით, 1853 წელს დაიბეჭდა ამ კომედიების რუსული თარგმანი. დრამატიული ნაწარმოები თათრულს ენაზე პირველი მაგალითი იყო. ამიტომ მაშინდელი პრესსა, რუსული და ევროპიულიც-კი, აღტაცებით მიეგებ̃ა ახუნდოვის კომედიებს. შინაარსი კომედიებისა ამიერ-კავკასიის თათართა ცხოვრებიდან არის აღებული.

მირზა ფეტალი ახუნდოვი გარდაიცვალა 1878 წელს 67 წლისა ტფილისს. ტფილისშივეა დასაფლავებული ეს პირველი დრამატურგი ადერბეჯანელ თათრებისა.

## თეატრი

**ფოთი.** ჩვენ ქალაქს გამოღვიძება და გამოფხიზლება დრო-გამოშვებით დაეტყობა ხოლმე. უიმისოდ-კი ძილსა და მოსვენებას ეძლევა. დღეს ღმერთმა დაუმადლოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომ ჩვენსკენაც გადმოავლო მოწყალე თვალი და განიზრახა დრო-გამოშვებით წარმოდგენების მართვა, თორემ, შენი მტერია, დიდ-ხანს ასე ყოფნით ძილისაგან თვალებზე ობი მოგვეკიდებოდა, რადგან აქ არ მოიძებნება არავითარი გასართობი, გარდა ყავახანებისა. შაბათს, 25 ოქტომბერს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში ქართულ-დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა 2 მოქმედებიან დრამა „სტუმარი" და 3 მოქმედებიანი კომედია „სიძე-სიმამრი". წარმოდგენამ საზოგადოდ მშვენივრად ჩაიარა, მაგრამ ხალხი უამინდობისა გამო იმდენი ვერ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო. რაც შეეხება მოთამაშეთ, დრამაში კარგი იყო ნერგორის მოთამაშე ბ-ნი გუნია და ფლორიზელისა,—ქ-ნი ჩხეიძე. რეჰგოლტისა და მოსამსახურის როლის შემსრულებელთ შალაშინის გაკვრა ეპირვებოდათ. „სიძე-სიმამრმა" ბ-ნთ აბაშიძისა, გუნიასა, შათირიშვილისა და ქ-ნ კარგარეთელის მეოხებით მხიარულად ჩაიარა, საზოგადოებამ ბევრი იცინა. სამწუხაროდ, თავ. გივი რუექიანიძისა და კატოს როლის აღმასრულებელთ გზაში ხმა წასვლოდათ.

**ი. იანეთელი.**

## დაბა-სოფლები

**ყვირილა** (იმერეთი). შორაპნის მაზრა ღვინის მოსავლით განთქმული იყო, მაგრამ რაც ფილოქსერა გაჩნდა, მოსავალი სულ დაიკარგა და მკვიდრთ მოაკლდათ ის წყარო, რომლითაც დიდ ხარჯს ისტუმრებდნენ. ყველას იმედი დაკარგა ღვინის გამობრუნებისა, არ იცოდნენ მევენახეობის მაგიერ, რისთვის მოეკიდნათ ხელი. ამ დროს დაარსდა ამერიკულ ვაზის სანერგე საქარაში. ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში ისე გახელოვნდნენ აქაურნი, რომ თითქმის ყველა ოჯახს აქვს პატარა სანერგე და ჰყიდის როგორც ლერწს, ისე დამყნილ ვაზს. ამ მხრივ უფრო განთქმულია სოფელი შროშა, სვირი, კვალითი, საქარა და სხვ. ამას მოჰყვა ღვინის მოსავლის თანდათან მომატება და, აი, წელს ისე უხვად მოვიდა ღვინო, რომ ბევრი ჭურჭელს ვერ შოულობს. ამიერიდან, რასაკვირველია, თანდა-თან მოიმატებს მოსავალი, მაგრამ ისე ბედდოვლათად თუ შეინახეს, როგორც წელსა შვრებიან, მოგება ბევრი არაფერი იქმნება. ღვინო ბევრი მოგვივიდაო და გაიხსენეს ძველი და ახალი მკვდარი, წირვა და ქეიფი. სხვა ჭირნახულის მოსავლით კი ვერ დაიკვეხის ქვემო იმერეთი: პური ცოტა მოუვიდათ და სიმინდი ხომ რასაც ელოდნენ, იმის ნახევარიც ძლივს მოვიდა.

15 ოქტომბრიდან დაიწყო ყვირილაში ყმაწვილ კაცთა ჯარში გაწვევა. ახალგაზრდები მოდიან სოფლებიდან მამებით, ძმებით და სხვა ნათესავებით, ბინავდებიან დუქნებში და მთელს დღეს ქეიფში არიან. დამთვრალნი გამოდიან მერე ქუჩებში, დადიან და ათას უწესოებას სჩადიან. თავს იმით მართლულობენ, რომ ხომ მივექვართ სალდათად და ამის მეტი რა შეგვრჩება. ამას წინად ვწერდით „ც. ფურ."-ში, რომ ყვირილის საქალაქო სკოლის შენობა მთავრობის გეგმით ორ-სართულიანი უნდა იყვეს და რატომ ორ-სართულიანს არ აგებენო. ვესწრაფვი ამის გასწორებას. მთავრობისგან მიცემულია ერთ-სართულიანი შენობის გეგმა, მაგრამ მეორე სართულის დადგმაზედაც ჰქონდათ ლაპარაკი და სკოლის ინსპექტორიც ორ-სართულიანს თხოულობდა. ჯერ-ჯერობით კი ერთ სართულიანსაც ვერ ვღირსებივართ.

**საყულიელი**

**ს. ოფიშკვითი** (ქვემო იმერეთი). მუხიანის სადგურსა და ოფიშკვითის შუა ძევს ტყე, „ქაჭარი", რომელიც ძველად, როგორც მოსწრებული კაცები ამბობენ, დიდი ტყე ყოფილა, ასე რომ ორი-სამი ძირი ხიდან მთელი სახლი აშენდებოდა თურმე, და ბევრ ნაირი ნადირიც ბუდობდა შიგ. ახლა ეს, ერთს დროს სახელოვანი როგორც ნადირით, ისე საშენად, ტყე წარმოადგენს მხოლოდ ბუჩქნარს. უმეტეს ნაწილად ეკუთვნის ოფიშკვითლებს და ამ სოფლის თავადებს ნიჟარაძეებს. ტყე თუმცა ნაწილ-ნაწილად არის გაყოფილი, და ყოველ ნაწილს შუა გადაჭრილი ხევებია, მაგრამ სარგებლით თითქმის ყველა სარგებლობს: თავის ნაწილში შედის, თუ სხვისაში, არ დაგიდევს. სადარდელი ის არის, რომ ეს ბუჩქნარი, რადგან ნიადაგი კარგი აქვს, მალე წამოიზრდებოდა და ტყედ გადიქცეოდა, რომ რამდენსამე წელიწადს აცლიდნენ და მოასვენებდნენ. გარეული ფრინველიც გამრავლდებოდა და ნადირიც თავს შეაფარებდა. ახლა კი კურდღელიც ძლივს იმალება ბუჩქებში. არ იქნება ურიგო, რომ აქაურნი მკვიდრნი ამ ტყეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ და ტყის მცველს დაუყენებდნენ. სანამ ეს ტყე ანუ, უკეთ სთქვათ, ბუჩქნარი, კარგი ტყე იყო, სოფელში ღელეც ბევრი იყო და წყაროც. ღელე ნარიონევი და მეწყერა ბევრს წისქვილს გვიბრუნებდა. მას შემდეგ კი, რაც გაიჭრა, ღელეებიც გაშრა და უწისქვილოებიც დავრჩით. შემდეგში ნარიონევში მდინარე რიონიდან გამოუშვეს წყალი, მაგრამ ის ადგილი, სადაც რიონიდან წყალი გადმოუგდეს, აზნ. ამირეჯიბებს ეკუთვნის, რომელნიც წყალს არ უშვებენ. ეს წყალი საჭიროა როგორც წისქვილებისთვის, ისე სარწყავად და სასმელად შემდეგ სოფლებისთვის: გეგუთისა, მესხეთისა, პატრიკეთისა, უკანეთისა, ტყაჩირისა, ოფიშკვითისა, საყულიისა და რამდენიმედ ფარცხანაყანევისთვისაც. ეს სოფლები დიდს გაჭირვებაში არიან უწყლობისა გამო ამბობენ, მთავრობამ ამირეჯიბთ და მოხსენებულ სოფლელებს შორის დავა მოსპოო, მაგრამ ეს ორი წელიწადია, წყალს მაინც ვერ ვეღირსეთ.

**ისა ვარ**

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოქტომბერი

**კურმიში.** საერობო კრებამ დაადგინა, მეხუთე საქმოს სადგური გავხსნათ, საარჩევნო ცენზი ას დესეტინამდე შევამციროთ, შუამდგომლობა აღვძრათ, მაზრაში აგრონომის თანამდებობა დაწესდეს, საერობო სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირის 25 პროცენტი მოემატოს და ამ მასწავლებლებისათვის სახალხო განათლების სამინისტრომ ყოველ წლიურად შემწეობა გვაძლიოსო.

**რიგა.** რიგასა და ლონდონს შუა ლასმანის ფირმა გემების მიმოსვლას ჰმართავს.

**ბერლინი.** დილით შემდეგი ბიულეტენი გამოსცეს: „იარა რვა დღეს მოურჩება იმპერატორს. საზოგადო მდგომარეობა კარგია. ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს."— იმპერატორმა დილით ლუკანუსისაგან მოხსენება მიიღო.

**ვენა.** პორტა არა სთანხმდება, რომ ხილმიფაშის ამხანაგმა ევროპიელებმა მაკედონიის ოლქების ახალ-განათლებას კანტროლი გაუწიონ; ამას გარდა პორტა აცხადებს, ჟანდარმერია სულ ახალ წესზეა მოწყობილი და გერმანელ ოფიცრებს მივანდეთ, რომ სამხედრო მოქმედებასა და ჟანდარმერიის რეორგანიზაციას თვალ-ყური ადევნოს და სამხედრო სასამართლოების განაჩენებს კანტროლი გაუწიოს.

**პარიზი.** ფრანგი პუბლიცისტი დეუ, რომელიც პაპმა მიიღო, ამბობს პიოს მე-X-მ საფრანგეთის საეკკლესიო პოლიტიკაზე სთქვა, ეს პოლიტიკა ღმერთსა ჰკლავსო. მორწმუნე ხალხს საფრანგეთში სდევნიან, სხვა რესპუბლიკებში-კი სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული; ფრანგი კათოლიკები ინგლისელ და გერმანელს კათოლიკეების ბედს შურის თვალით უნდა უყურებდნენო.

**სტამბოლი.** იტალიის ელჩმა პორტას განცხადება ჩააბარა. განცხადებაში სწერია: იტალიაც მხარს აძლევს ავსტრია-რუსეთის ნოტასაო.— ინგლისის ელჩი თეჰრანიდან, სამხედრო და საგარეო საქმეების მცოდნე კაცებით, სპარსეთის სრუტის ნაპირების შესასწავლად მიემგზავრება, თან დიდი დამცველი რაზმი ეახლება. ელჩი ბასორამდე და ბაღდადამდე მივა.

**ვაშინგტონი.** პანამის რესპუბლიკის ელჩი მოვიდა და მაშინვე შეატყობინა ჰეის, მონდობილი მაქვს, პანამის არხის თაობაზე ეხლავ მოლაპარაკება გავმართოო.

**ნეაპოლი.** ახალმა ფინანსთა მინისტრმა როზანომ თავი მოიკლა.

**კიევი.** განსვენებულ ტერეშჩენკოს შვილმა, თავის მამის სურვილის თანახმად, 10 ათასი მანეთი ჩააბარა სტამბის ინსპექტორს ხელ-უხლებელ ფონდის დასაარსებლად. ამ ფონდის სარგებელი ბეჭდვითი საქმის ხელოვნების ქარხანას უნდა მოჰხმარდეს.

28 ოქტომბერი

**რომი.** პაპის თანადასწრებით მოხდა კრება პირველ საიდუმლო კანსისტორიისა. პიუს X-მ დანიშნა: მერრი-დელ-ვალი—კარდინალად, გრაფი შემბეკი—მოგილევის ეპისკოპოსად და ბარონი როოპი—ვილენის ეპისკოპოსად.

**ბრესტი.** ჩრდილოეთის ესკადრამ ბრძანება მიიღო, მზად იყოს შერბურგში წასასვლელად, სადაც უნდა მიეგებოს ინგლისში მგზავრობის დროს იტალიის მეფეს.

**კონსტანტინეპოლი.** ყველა აქაურმა საელჩომ მიიღო ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის ძალით, საელჩოებმა მხარი უნდა დაუჭირონ იმ მოთხოვნილებას, რომელსაც აზრად რეფორმების შემოღება აქვს, უნდა მიიღონ აგრეთვე შესაფერი ზომები. პროგრამის დაწვრილებით შესამუშავებლად მიწვეულნი არიან რუსეთისა და ავსტრიის ზოგიერთი ელჩები. მიიწვიეს იმ ადგილების ელჩები, სადაც რეფორმების შემოღება განზრახული.—პორტა იუწყება, მეამბოხენი შემოერტყნენ სოფელ ცირნოვოს ნევროკოპის ოლქში, თავს დაეცნენ მცხოვრებთ წირვის დროს და მოჰკლეს ოთხი კაცი, ამათ შორის რამდენიმე მასწავლებელიო. მცხოვრებთ მოჰკლეს 4 მეამბოხე ჯარი დაედევნა მეამბოხეთ.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 93,70 | |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 45,90 | |
| პარიზისაზე 100 ფრანკში. | 37,35 | |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,65 | |
| ბერლინისაზე „ | 46,30 | |
| პარიზისაზე „ | 37,62 1/2 | |
| ბირჟის დისკონტი | 5-6 1/2% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99 1/2 გაყ. | |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — | |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ. | — | |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 95 1/8 | „ |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 458 1/2 | „ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 339 | „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 286 1/2 | „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — | |
| 4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.. | — | |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — | |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | 91 7/8 | „ |
| 4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. | — | |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 90,3/4 | „ |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. | 200,1/2 | „ |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 დილის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

**შორაპნამდე:** სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

**შორაპნამდე:** № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

## განცხადებანი

**სამკურნალო**

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა**. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—1)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

**ხის ნახშირის**

**საწყობი**

იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—ნ.—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

**კიოსკში,**

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი . . . . . | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები . . . | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი . . . | — | 20 |
| ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო. | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე . | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი . . . . . . | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო . . | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნად . . . . | — | 80 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

**ელეოპატი**

შვედური ბალზამი
პროვიზორის **კინუნენისა**

ეს საშუალება ამაგრებს თმას და სპობს ქერტლსა. ის გარემოება, რომ ამ ელეოპატს 25 წელიწადია (1877 წლიდან) დიდი გასავალი აქვს, გვარწმუნებს, ნდობით მოეკიდოთ ამ საშუალებას. იყიდება ყველგან.

ადრესი წერილებისთვის: ს.-პეტერბურგი, რაზიეზჟაია № 13, პროვიზ. კინუნენის ელეოპატის მთავარ საწყობში (С.-Петербургъ, Разъѣжая, 13,—въ главный складъ Элеопата, пров. Кинунена). (4—ნ.—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 28 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).